შედეგი:

საცხოვრისთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტა დროში გაჭიანურებული, მცირემასშტაბიანი და არამდგრადია.

მთავარი პრობლემა:

საცხოვრისთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებისადმი მიმართული სახელმწიფო საქმიანობა ნაკლებად ეფექტური, ფრაგმენტული და არამდგრადია

პირველადი გამომწვევი მიზეზი:

არსებული ინსტიტუციური მოწყობა სათანადოდ ვერ პასუხობს საცხოვრისთან დაკავშირებულ გამოწვევებს

მეორადი გამომწვევი მიზეზი:

- არ არსებობს სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს საცხოვრისთან დაკავშირებული საქმიანობის ეფექტურ კოორდინაციასა და ზედამხედველობას, მთელი ქვეყნის მასშტაბით.
- ცენტრალურ და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შორის საცხოვრისთან დაკავშირებულ საკითხებზე ფუნქციებისა და უფლებამოსილებების გადანაწილება ბუნდოვანი და არაეფექტურია
- საცხოვრისთან დაკავშირებული საკითხებისადმი სახელმწიფო მიდგომა ფრაგმენტული და არაერთგვაროვანია, იგი ეფუძნება უსახლკარობის დროებითი მართვის პრინციპს.
- საცხოვრისთან დაკავშირებულ საკითხებზე კოორდინაციის/თანამშრომლობის მექანიზმები მწირია.
- სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფის მიმართ არსებული საცხოვრისის პოლიტიკის ფორმირების/განხორციელების პროცესები არ არის ერთმანეთთან ჰარმონიაში

პირველადი გამომწვევი მიზეზი:

საცხოვრისთან დაკავშირებული არსებული მონაცემები არ არის სარწმუნო და არ ასახავს რეალურ ვითარებას

მეორადი გამომწვევი მიზეზი:

- სტატისტიკური მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების არსებული მეთოდოლოგია ვერ უზრუნველყოფს რეალური მონაცემების იდენტიფიცირებას და ასახვას.
- არ არსებობს მონაცემთა ბაზა, რომელიც მოიცავს სეგრეგირებულ მონაცემებს უსახლკარო პირების; სახლის არმქონე პირების; საფრთხის

შემცველი/არასაიმედო საცხოვრისის მქონე და არასათანადო საცხოვრისის მქონე პირების რეალური რაოდენობის შესახებ.

- არ ხდება საცხოვრისის/სათანადო საცხოვრისის საჭიროების მქონე პოტენციური პირების - რისკ-ჯგუფების შესახებ რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების შეგროვება

პირველადი გამომწვევი მიზეზი:

ჩამოყალიბებული არ არის სტატუსის დადგენის ერთიანი პროცედურა და მეთოდოლოგია.

მეორადი გამომწვევი მიზეზი:

- არ არსებობს შესაბამისი კატეგორიების (უსახლკარო პირები; სახლის არმქონე პირები; საფრთხის შემცველი/არასაიმედო საცხოვრისის მქონე; არასათანადო საცხოვრისის მქონე) დეფინიციები
- არ არსებობს შესაბამისი სტატუსების (უსახლკარო პირები; სახლის არმქონე პირები; საფრთხის შემცველი/არასაიმედო საცხოვრისის მქონე; არასათანადო საცხოვრისის მქონე) დადგენის ერთიანი მეთოდოლოგია

პირველადი გამომწვევი მიზეზი:

უსახლკარო, სახლის არმქონე, საფრთხის შემცველი/არასაიმედო საცხოვრისის მქონე, არასათანადო საცხოვრისის მქონე პირების საცხოვრისთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრისა და არსებული გამოწვევების საპასუხო მექანიზმები ფრაგმენტული, ნაკლებად ეფექტური და არამდგრადია

მეორადი გამომწვევი მიზეზი:

- პროგრამების, პროექტებისა და სერვისების შემუშავების დროს გათვალისწინებული არ არის პოტენციური ბენეფიციარების რეალური რაოდენობა
- პროგრამების, პროექტებისა და სერვისების შემუშავების დროს სათანადოდ არ ხდება სამიზნე ჯგუფის საჭიროებების გამოკვლევა
- პროგრამები, პროექტები და სერვისები სათანადოდ მორგებული არ არის დამატებითი მოწყვლადობის მქონე ბენეფიციარებზე
- პროგრამების, პროექტებისა და სერვისების შემუშავების დროს სათანადოდ არის გათვალისწინებული მდგრადობის კომპონენტი

- საცხოვრისთან დაკავშირებული პრობლემების საპასუხოდ შემუშავებული არ არის პრევენციული მექანიზმი/სერვისები